საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფაქვაა, ფაქიზებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 4-6 ივნისი. 2021 წ. №121-122 (9240-9241) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

გახარია აშკარად წავიდა ივანიშვილის წინაალმდეგ

მან დაარღვია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მართვის სტილი

3

ირაკლი ღარიბაშვილი: საქართველო და უკრაინა რჩებიან ახლო მეგობრებად და მოკავშირეებად!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი Twitter-ის ოფიციალურ გვერდზე უკრაინელ კოლეგასთან, დენის შმიგალთან შეხვედრის შესახებ წერს და აღნიშნავს, რომ საქართველო და უკრაინა მჭიდრო მოკავშირეებად რჩებიან.

„მნიშვნელოვანი შეხვედრა მქონდა დენის შმიგალთან. განვიხილეთ თანამშრომლობა და ჩვენი პარტნიორობის გაღრმავების პერსპექტივები. საქართველო და უკრაინა რჩებიან ახლო მეგობრებად და მოკავშირეებად საერთო, ევროპულ და ევროატლანტიკურ გზაზე“, — წერს საქართველოს მთავრობის მეთაური.

დენის შმიგალი: დარწმუნებული ვარ, ევროკავშირსა და ნატოში საქართველოსა და უკრაინის გაწევრება მხოლოდ დროის საკითხია

უკრაინის პრემიერ-მინისტრის, დენის შმიგალის განცხადებით, უკრაინა და საქართველო სტრატეგიული პარტნიორები არიან, რაც არ არის მხოლოდ სიტყვები, ეს დასტურდება კონკრეტული საქმეებითა და ფაქტებით.

მისივე თქმით, უკრაინა-საქართველოს შორის დღევანდელი ურთიერთობები პირველ რიგში ემყარება უკრაინისა და საქართველოს მთავრობების ერთობლივ მიზნებს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების თვალსაზრისით.

„მე დარწმუნებული ვარ, ევროკავშირსა და ნატოში ჩვენი ქვეყნების შესვლა მხოლოდ დროის საკითხია. ჩვენი მხრიდან, საქართველოსა და უკრაინის მთავრობები ყველაფერს აკეთებენ, რათა მიაღწიონ ამისთვის საჭირო კრიტერიუმებს“.

ბიუროკრატიული ხარჯი პანდემიის კრიზისის პირობებშიც კი, შემცირების ნაცვლად მატულობს!

3

ნაციონალები ქუჩაშიც და პარლამენტშიც მარტონი დარჩებიან!

2

კალაძის დახმარება სისხლის გადასხმასავითაა!..

7

ილია მეორემ უკრაინელები დალოცა...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს უკრაინის პრემიერ-მინისტრი, დენის შმიგალი დელეგაციასთან ერთად ესტუმრა.

„შეხვედრაზე ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის არსებული ძმური ურთიერთობებისა და მათი გაღრმავების პერსპექტივის შესახებ.კათოლიკოს-პატრიარქმა სტუმრები დალოცა და მშვიდობიანი და წარმატებული მოღვაწეობა უსურვა“, — აღნიშნულია საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციაში.

უფალი ფარვიდა მეფეს

უფალმა ისნა სიკვდილისაგან დავით აღმაშენებელი. დილაადრიან თავისი კარვის კართან იდგა პერანგისამარა და ალყაშემორტყმული ციხიდან ნასროლი ისარი უსათუოდ გაუპობდა გულს, შემთხვევით ხატი რომ არ დახვედროდა ფარად. თურმე უფალი ფარვიდა ქართველ მეფეს. ისარი მოხვედრია მთავარანგელოზის პატარა ოქროს ხატს, ყელზე რომ ეკიდა... და იქიდან ასხლეტილა.

უფალმა კიდევ ერთხელ გადაარჩინა საქართველო.

გადაარჩინა არამარტო იმდროინდელი ქვეყანა, არამედ — მთელი მისი მომავალი. გადაარჩინა ბავშვები, რომლებიც ჯერ არ დაბადებულიყვნენ, გადაარჩინა სახლები, რომლებიც ჯერ არ აეშენებინათ, გადაარჩინა ლექსები, რომლებიც ჯერ არ დაეწერათ.

იხ. 4 გვ.

სახაროვის ფურცლიდან...

„საქართველო - მცირე იმპერია!..“



ფიზიკოსი, აკადემიკოსი, საბჭოთა წყალბადის ბომბის ერთ-ერთი შემქმნელი, სამგზის სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი, დისიდენტი, ადამიანის უფლებათა დამცველი, ნობელის პრემიის ლაურეატი, პოლიტპატიმარი, პოლიტიკოსი, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ალტერნატიული პროექტის ავტორი — ასეთია ანდრეი სახაროვის წოდებების, პროფესიებისა და საქმიანობის სფეროთა ვრცელი ჩამონათვალი, თუმცა საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილის კოლექტიურ მეხსიერებას ის მაინც შემორჩა როგორც ავტორი ერთი ფრაზისა: „საქართველო — მცირე იმპერია“.

იმსახურებს თუ არა სახაროვი ჩვენს მეხსიერებაში მხოლოდ ამ ერთი ფრაზით დარჩენას?

იხ. 5 გვ.

სენატორების ვიზიტი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან მხარდაჭერის ძალიან ძლიერი სიგნალია!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დელეგაციასთან შეხვედრას ეხმაურება.

„სენატორი ჯინ შაჰინისა და სენატორი რობ პორტმანის ვიზიტი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან მხარდაჭერის ძალიან ძლიერი სიგნალია. ჩვენ განვიხილეთ რეგიონში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, შავი ზღვის უსაფრთხოების მნიშვნელობა, ნატოსა და საქართველოს ეკონომიკური აღდგენის საკითხები“, — წერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი Twitter-ზე. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დელეგაციას შეხვდა, რომელსაც სენატორი ჯინ შაჰინი ხელმძღვანელობს.

კახა კუჭავა უკრაინის პრემიერ-მინისტრს დენის შმიგალს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა უკრაინის პრემიერ-მინისტრ დენის შმიგალს შეხვდა. მხარეებმა შეხვედრაზე საქართველოსა და უკრაინას შორის არსებულ მეგობრობასა და სტრატეგიულ პარტნიორობაზე ისაუბრეს.

შეხვედრაზე, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგნელები ესწრებოდნენ, ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაძლიერების მნიშვნელობას და ასევე სამმხრივი საპარლამენტო ასამბლეის ფორმატის გააქტიურებას გაესვა ხაზი. იმსჯელეს ნატოში ინტეგრაციის პროცესში მიღწეულ პროგრესზე და აღინიშნა, რომ ალიანსში გაწევრიანება ორი ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთერთი მთავარი პრიორიტეტია.

კახა კუჭავამ საქართველოს დასავლური ინტეგრაციის პროცესში მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერის მნიშვნელობასა და იმ განაცხადზე გაამახვილა ყურადღება, რომელსაც ქვეყანა 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე გააკეთებს. ისაუბრეს უკრაინის საზღვრებთან და დროებით ოკუპირებული ყირიმის ტერიტორიაზე განვითარებულ პროცესებს და რუსეთის აგრესიულ ქმედებებზე.

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა პარლამენტის თავმჯდომარეს როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში, საერთაშორისო არენაზე უკრაინის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

ჯინ შაჰინი და რობ პორტმანი საოკუპაციო ხაზთან ჩავიდნენ

საქართველოში ვიზიტით მყოფი სენატორები ჯინ შაჰინი და რობ პორტმანი გუშინ ცხინვალის რეგიონში ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან ჩავიდნენ, — ინფორმაციას ამის შესახებ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია Twitter-ზე ავრცელებს.

მისიის ხელმძღვანელმა, ამრეკ შჩიგელმა სოფელ ზემო ნიქოზში მათ მიმდინარე ვითარება გააცნო და აქცენტი „ბორდერიზაციის“ პროცესზე, სადამკვირვებლო პოსტებსა და აღჭურვილობაზე გააკეთა.

ალუდა ღუდუშაური: მედიას მოვუწოდებ, რომ მაქსიმალურად გააშუქონ არჩევნების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის მუშაობა!

არჩევნების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის მუშაობის პროცესი იქნება ღია და გამჭვირვალე. გადაიცემა ლაივ რეჟიმში და მედიის წარმომადგენლებს ექნებათ შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს დააკვირდნენ ამ პროცესს, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ალუდა ღუდუშაურმა განაცხადა.

„მედიას მოვუწოდებ და ვთხოვ, რომ მაქსიმალურად გააშუქონ, რადგან გვინდა მაქსიმალურად გამჭვირვალე და ღია იყოს ჩვენი საზოგადოებისთვის ეს პროცესი. რათა არცერთი კითხვის ნიშანი არ დარჩეს პასუხგაუცემელი“, — განაცხადა ალუდა ღუდუშაურმა.

გივი მიქანაძე: 12 პროფესიონალი მთვლელი შევარჩიეთ, რომლებიც პროცესს თავიდან ბოლომდე წარმართავენ

შემთხვევითობის პრინციპით 12 პროფესიონალი მთვლელი შევარჩიეთ, რომლებიც 2 ჯგუფად არიან გაყოფილნი, თითო ოთახში 6 მთვლელი კომისიის 2 წევრის მეთვალყურეობის ქვეშ განახორციელებს, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გივი მიქანაძემ განაცხადა.

„შემთხვევითობის პრინციპით 12 პროფესიონალი მთვლელი შევარჩიეთ, რომლებიც 2 ჯგუფად არიან გაყოფილნი, თითო ოთახში 6 მთვლელი კომისიის 2 წევრის მეთვალყურეობის ქვეშ განახორციელებს. კომისიის წევრები საერთოდ არ იქნებიან კონტაქტში იმ ბიულეტენებთან და იმ დახურულ ყუთებთან, რომელიც ცესკომ გადასათვლელად წარმოადგინა. ამ პროცესს თავიდან ბოლომდე პროფესიონალი მთვლელები წარმართავენ“, — განაცხადა მიქანაძემ.

ნაციონალები ქუჩაშიც და პარლამენტშიც მარტონი დარჩებიან!

მმართველი გუნდის წევრი, გურამ მაჭარაშვილი თვლის, რომ ექს-პრეზიდენტის პარტია, როგორც ქუჩაში დარჩნენ მარტო, ასევე მარტო იქნებიან პარლამენტში. მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ რადიკალიზმის გატარებას საკანონმდებლო ორგანოშიც შეეცდება.

— რასაც ვუყურებ, ურთიერთგამომრიცხავ გადაწყვეტილებებს იღებენ. თუნდაც ეს ნაბიჯი, რომ შარლ მიშელის დოკუმენტს ხელს არ აწერენ და პარლამენტში შემოვიდნენ, სწორედ ამის მომასწავებელია. ქუჩაში მარტო დარჩნენ და ახლა უნდათ, რომ პარლამენტში შემოვიდნენ და აქაც მარტო დარჩნენ. ანუ, მიხვდნენ იმას, თუ პარლამენტში არ შემოვიდოდნენ მარგინალიზაციის გზას დაადგებოდნენ, მაგრამ პარლამენტშიც მარტო დარჩნენ. შესაბამისად, თუ დოკუმენტს ხელს არ მოაწერენ, საპარლამენტო საქმიანობაში ვერ ჩაერთვებიან.

— როგორ ფიქრობთ, ქუჩაში არეულობის მოწყობა არ გამოუვიდათ და ახლა ამის გაკეთება პარლამენტში სურთ?

— არეულობა მათი სტილია და ეს ქუჩაში არ გამოუვიდათ. სხვათა შორის, აშშ-სა და ევროკავშირის ელჩებმაც „ნაციონალური მოძრაობის“ დესტრუქციული ქმედება კარგად იციან და საჯაროდ განაცხადეს, რომ „ნაცმოძრაობამ“ კონსტრუქციულად საპარლამენტო ბერკეტები უნდა გამოიყენოს. ისინიც ხვდებიან, რომ პარლამენტში შემოსულებმა იქ არ დაიწყონ დესტრუქციის შემოტანა. შესაბამისად, დესტრუქცია, დაპირისპირება, არაერთგვაროვანი ქმედებები — ეს ყველაფერი „ნაციონალური მოძრაობის“ თანმდევია. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუმცა, არ უნდა მივცეთ საშუალება, რომ პროცესები დააზიანონ, რომელიც ქვეყნის სასიკეთოდ მიმდინარეობს. ეს არის ჩვენი ამოცანა. 6 თვე ამომრჩეველს არწმუნებდნენ, პარლამენტში რატომ არ უნდა შემოსულიყვნენ, ახლა დაარწმუნებენ რატომ არის კარგი, რომ შემოვიდნენ...

— მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილს სიურპრიზს უმზადებს. თქვენი აზრით, რა სიურპრიზს ამზადებს ექს-პრეზიდენტი?

— მიხეილ სააკაშვილი საკუთარ ამომრჩეველს სიურპრიზებით ანებივრებს და სიურპრიზებიდან სიურპრიზებამდე აცხოვრებს. ამ არჩევნებზე მათი ამომრჩეველთა რაოდენობა აუცილებლად დაიკლებს.

— როგორ გგონიათ „ნაციონალური მოძრაობის“ პარლამენტში შესვლა ნიკა მელიას უკრაინაში მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისას გადაწყდა?

— უკრაინაში შეთანხმება რომ ყოფილიყო, მაშინ უკრაინაშივე გააკეთებდნენ განცხადებას. სავარაუდოდ, იქ ვერ შეთანხმდნენ, შესაბამისად, აქ წამოვიდნენ. ნაციონალების წევრების ნახევარს შემოსვლა უნდოდა და მათ ვერაფერი მოუხერხეს. ამიტომ, ვითომ ხალხში გავიდნენ, კომიკური სცენები ჩაატარეს და საბოლოოდ, შემოსვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღეს.

— ასევე, მინდა გკითხოთ, ექს-პრემიერის, გიორგი გახარიას პოლიტიკაში დაბრუნებაზე. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ გიორგი გახარიას მედიასთან შეხვედრიდან?

— გიორგი გახარიამ იმ კითხვებს, რომელიც ხელისუფლების მიმართ დასვა, თავად უნდა გასცეს პასუხები. ისეთი კითხვები ჰქონდა, რომელიც პირდაპირ მას უკავშირდება, როდესაც პრემიერ-მინისტრი იყო. ამ შემთხვევაში საინტერესოა, დასვას კითხვა როგორც ოპოზიციონერმა და უპასუხოს, როგორც პრემიერმა. „ქართულ ოცნებაში“ თუ რამე ხდებოდა, ბუნებრივია, მისი ხელმძღვანელობით ხდებოდა. ამიტომ, არ მგონია, რომ ძლიერი და საინტერესო გამოსვლა იყო. არც ერთ კითხვაზე ამომწურავი და საინტერესო პასუხი არ ჰქონია. მოლოდინი არ გვაქვს, რომ მის პოლიტიკურ პარტიას სერიოზული წარმატება ექნება, ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ჩანს.

— და რამდენად დამაკმაყოფილებელი იყო თქვენთვის მისი წასვლის შესახებ გაკეთებული განცხადება?

— გიორგი გახარიამ ვერც წასვლის შესახებ მიზეზი ახსნა. ჯერ თავიდან მელიას დაკავება მოიმიზეზა, რომელიც აბსურდია. მართლმსაჯულებამ გადაწყვეტილება მიიღო და არ უნდა აღსრულებულიყო?! მეორე - მელიას პროცესები 20 ივნისს დაიწყო და 20 ივნისს გახარია შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და ამ პროცესებში მონაწილეობდა. ამიტომაც უჭირს არა მარტო ბიძინა ივანიშვილის, არამედ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ რამე თქვას. თუმცა, რაც მოვისმინე - მელიას დაკავება სისულელე იყოო. თავიდან თქვა, რომ მისი დაკავება უნდა გადაწეულიყოო, რას ნიშნავს გადაწეულიყო?! სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება სისულელე როგორ უნდა იყოს?! ბევრი ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები გაიაკეთა. უნდა ითქვას, რომ გახარიას გადადგომიდან მეხუთე დღეს მელიას დაკავება მოხდა.

— ისიც უნდა ითქვას, რომ მან კახა კალაძე შეაქო და როგორ ფიქრობთ, შესაძლოა, მან დედაქალაქის მერს საკუთარი კანდიდატი დაუპირისპიროს?

— ზოგადად, როდესაც პრემიერი ოპოზიციაში მიდის, მან ორი რამ უნდა დაამტკიცოს — პირველი, საზოგადოება დაარწმუნოს იმაში, რატომ იყო მისი გადადგომა აუცილებელი. მეორე — საზოგადოება დააჯეროს, თუ რა გეგმები აქვს და რას გააკეთებს უკეთესად, რომლის გაკეთებაც პრემიერ-მინისტობის დროს ვერ მოახერხა. მას თუ რამე მიღწევები ჰქონდა, „ქართული ოცნების“ რესურსებით ჰქონდა. როგორც პოლიტიკოსი „ოცნებაში“ გაიზარდა. როგორც ჩანს, ნებისყოფამ უმტყუნა და ჩათვალა, რომ მისი რესურსი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე „ოცნების“. ასე რომ არ ჩაეთვალა, წესით, ამ ნაბიჯს არ გადადგამდა.

ესაუბრა
ქეთი გიორგაძე

ახალი ოპოზიციური ფრაქცია პარლამენტში

„სტრატეგია აღმაშენებელი“, გრიგოლ ვაშაძე, ზურაბ ჯაფარიძე, ხათუნა სამნიძე და ტარიელ ნაკაიძე პარლამენტში ახალ საპარლამენტო ფრაქციას ქმნიან. ცნობილია ფრაქციის სახელწოდებაც — „ფრაქციას „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“.

ფრაქციას ხათუნა სამნიძე უხელმძღვანელებს, მისი მოადგილე კი პაატა მანჯგალაძე იქნება. როგორც ფრაქციის დარეგისტრირებისადმი მიძღვნილ ბრიფინგზე სამნიძემ აღნიშნა, ფრაქცია შეიქმნა შარლ მიშელის შეთანხმების დოკუმენტის საფუძველზე.

„ამან მოგვცა საშუალება, გავერთიანდეთ ერთი მიზნის ირგვლივ. სახელიც ამ ფრაქციის შესაბამისად შევარჩიეთ. ფრაქციაში გაერთიანებულია სამი პოლიტიკური პარტია — „სტრატეგია აღმაშენებელი“, „გირჩი-მეტი თავისუფლება“, „რესპუბლიკური პარტია“ და დამოუკიდებელი დეპუტატები, გრიგოლ ვაშაძე და ტარიელ ნაკაიძე. გვექნება ჩვენი ინდივიდუალური სამოქმედო ველიც, მაგრამ გავერთიანდით რეფორმების გასატარებლად“, — განაცხადა სამნიძემ.

ბადრი ჯაფარიძე: წერილი გადმომცა გახარიამ და მე ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით

„არაფერი სიახლე მე არ მითქვამს, ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ არანაირი შუამავალი არ არსებობდა, ეს იყო ჩვენთვის გადმოცემული წერილი. ჩვენთვის გადმოცემა ნიშნავს იმას, რომ ვიყავით ადრესატები მე და მამუკა, მან წერილი გადმომცა პირადად მე.

სამწუხაროა, რომ ის ამას არ აღიარებს. გუშინდელი განცხადება მოჰყვა მის კიდევ ერთ ტყუილს, თითქოს ეს წერილი არ არსებობდა. წერილი გადმომეცა გახარიას მიერ და მე ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით. მაგიდაზე იყო წერილი, ხელში გადმომცა, რა ადგილზე იყო, რომელ საათზე, ეს არის პროკურატურის დასადგენი. მეზობლები ვიყავით, მაგრამ ავტოფარეხში არ მომხდარა გადმოცემა, არც სახლში და არც ავტოფარეხში.“, — განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ.

„თიბისი ბანკის“ დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ მუქარის წერილის შესახებ პირველად 2019 წლის 4 მარტს ისაუბრა. მისი თქმით, შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის, გიორგი გახარიასგან წერილი მან საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ მიიღო.

— — — — — — — — — — — — — —

დავით ქართველიშვილი: გახარიას პარტიის „მარჯვენა“ და „მარცხენა“ კიდურები...



გახარიას პარტიის „მარჯვენა“ და „მარცხენა“ კიდურები სააკაშვილთან და კეზერაშვილთან ოდესღაც დაახლოებული იმდროინდელი მაღალჩინოსნები არიან, — ამის შესახებ ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი სოციალურ ქსელში წერს.

„პრინციპში, რატომ უნდა ვიყო ურყევი ჩემთვის თუნდაც დაუჯერებელი ამბების უარყოფაში — როდესაც დიახ, გიორგი გახარიას პარტიის „მარჯვენა“ და „მარცხენა“ კიდურები სააკაშვილთან და კეზერაშვილთან ოდესღაც დაახლოებული იმდროინდელი მაღალჩინოსნები არიან.

ერთ-ერთი მათგანის მიმართ მწვავე შეკითხვებიც დავსვი, თუმცა პასუხის მიღებაზე მინიშნებაც ვერ მივიღე. ასე რომ, თუ პარტია „საქართველოსთვის“ დაფინანსების წყარო, კეზერაშვილის ფინანსური პირამიდაა — იგი ყარს. მას ქართული სისხლითა და ცრემლით ქმნიდა. აწი თავად ამტკიცონ, ვინ არიან და რა უნდათ“, — წერს ქართველიშვილი.

ადუღებული დრო

ვახტანგ მაისაია: გახარია აშკარად წავიდა ივანიშვილის წინააღმდეგ

მან დაარღვია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მართვის სტილი

„ნაციონალური მოძრაობისთვის“ ეს ნაბიჯი დაგვიანებული არ არის. ამ ბოიკოტით ოპოზიციამ თავის მიზანს მიაღწია“, — ასე აფასებს ანალიტიკოსი სამხედრო საკითხებში **ვახტანგ მაისაია** For.ge-სთან ენმ-ს გადაწყვეტილებას პარლამენტში შესვლის თაობაზე.

— **ენმ-მ** მიაღწია შიდა პოლიტიკური თემის საარჩევნო დონეზე აყვანას. საერთაშორისო აქტორების ჩართვამ გამოიწვია უფრო მეტად „გახურება“ და მაღალ დონეზე აყვანა. დათქმა, რომ თუკი მმართველი პოლიტიკური ძალა 43%-ს ვერ მიიღებს, ეს ავტომატურად გამოიწვევს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. ამასთან, შეიქმა ძალიან კარგი ბაზისი, რომ გაიზარდოს მულტიპარტიული კულტურა საქართველოში. ასე რომ, დაგვიანებული არ შეიძლება ეწოდოს ამას.

გაერთიანებულ ოპოზიციას უფრო მეტად შეუძლია გაერთიანდეს საერთო მტრის, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, რომელიც შესაძლოა, მარტივ მამრავლებად დაიშალოს და იქაური შიდა საპარლამენტო ზეწოლით მოახდინონ მისი კიდევ უფრო გამოფიტვა.

— რაც შეეხება ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელის არმოწერას?

— ყველა პოლიტიკური პარტია მოქმედებს საკუთარი დღის წესრიგით და ამაში გასაკვირი არაფერია. ალბათ, „ნაცმოძრაობა“ არ ეთანხმება ამ დოკუმენტში გამოთქმულ მოსაზრებებს. თვლიან, რომ დოკუმენტზე ხელმოწერის გარეშეც შედიან პარლამენტში და ერთვებიან საპარლამენტო საქმიანობაში.

„ქართული ოცნება“ არის კომპეტენტური პოლიტიკური პარტია, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს ნებისმიერი პოლიტიკური წესი. „ნაცმოძრაობამ“ ამით დაადასტურა, რომ მმართველმა პარტიამ დაიწყო ამ მემორანდუმის წესების დარღვევა და ეს იყო მათი პროტესტი, რის გამოც დოკუმენტს ხელი არ მოაწერეს.

— პოლიტიკურ ასპარეზზე ყოფილი პრემიერ-მინისტრი, გიორგი გახარია გამოჩნდა თავისი ახალი პარტიითა და პოლიტიკური ხედვით. როგორია მთავრობის ყოფილი მეთაურის რეიტინგი დღეს და რა პოლიტიკურ პერსპექტივაზე შეიძლება ვისაუბროთ?

— გახარიას პარტია ტექნოკრატული გაერთიანებაა, რომელიც ბუნებრივია, იმუშავებს „ქართული ოცნების“ ელექტორატსა და ამომრჩეველზე, თუმცა, შესაძლოა, გაერთიანებული ოპოზიციის ხმებიც წაიღოს. იგი ეცდება ცენტრისტული პოზიცია დააფიქსიროს. გახარია გამოვიდა და აუგი არ თქვა ბიძინა ივანიშვილზე — ეს იყო ცენტრისტული ორიენტაცია. იგი გაცილებით კარგი პოლიტიკური მენეჯერი გამოდგა, ვიდრე წინა პრემიერ-მინისტრები. გახარიამ გარკვეულწილად აჩვენა პოლიტიკური ეფექტურობა. მას ასევე ჰქონდა სერიოზული ჩავარდნებიც, მაგრამ ამან პოლიტიკაში დინამიკა შემოიტანა.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად არის გიორგი გახარია ბიძინა ივანიშვილის „პროექტი“?

— ეჭვი მეპარება, რომ ივანიშვილის პროექტი იყოს. ივანიშვილს არ უყვარს, როდესაც მის წინააღმდეგ ვინმე მიდის და მისი თამაშის წესებს არღვევს. იმ ყველაფრიდან გამომდინარე, რაც ვიხილე, ვერ ვიტყვი, რომ გახარია ივანიშვილის პროექტია. გახარია აშკარად წავიდა ივანიშვილის წინააღმდეგ, მან დაარღვია ივანიშვილის პოლიტიკური მართვის სტილი.

გახარიას საკმაოდ სწორი პოზიცია უჭირავს. ბიძინა ივანიშვილს არ აკრიტიკებს, არა იმიტომ, რომ მისი მომხრეა ან რაიმე კავშირი აქვს მასთან, მან უბრალოდ კარგი პოლიტიკური სტრატეგია აირჩია. ის ცდილობს, ბიძინა ივანიშვილის არგაკრიტიკებით, გადმოიბიროს თავის მხარეზე „ქართული ოცნების“ ელექტორატი, ის ელექტორატი, რომელსაც ჯერ კიდევ სჯერა ბიძინა ივანიშვილის.

— თქვენი აზრით, „ქართული ოცნება“ მიიღებს 43%-ს?

— თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დიდი აქტიურობით არ გამოირჩევა, დღევანდელი მდგომარეობით, „ქართულმა ოცნებამ“ შესაძლოა 20% აიღოს. თუმცა, როგორ წავა მისი ბედი, თუნდაც როგორ ჩაივლის მმართველი გუნდის ყრილობა და ა.შ. ამაზეა დამოკიდებული და იმ ცვლილებებზე, რომელიც შეიძლება განვითარდეს არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე. ჯერ არ ვიცით რა პლატფორმით გამოვა „ქართული ოცნება“.

მმართველმა ძალამ საკმაოდ სერიოზული დანაკარგი განიცადა მას შემდეგ, რაც მისი პარტიიდან წავიდა ბიძინა ივანიშვილი. ეს არის ყველაზე მძიმე დარტყმა, რაც მმართველმა პარტიამ მიიღო. ამასთან, დაკარგა გიორგი გახარია, რომელმაც სერიოზული წვლილი შეიტანა არჩევნებში. „ქართული ოცნების“ რეალური პროცენტი, ჩემი აზრით, მერყეობს 20-დან 30%-მდე.

ნიკო ჩოხელი

ბიუროკრატიული ხარჯი პანდემიის კრიზისის პირობებში კი, შემცირების ნაცვლად, მატულობს!

დასაქმებისა და შემოსავლების შემცირებამ, პანდემიამ კერძო სექტორი, მძიმე რეალობის წინაშე დააყენა. ბიზნესის ნაწილი კოტრდება ან გაკოტრების ზღვარზეა. ამ დროს კი საჯარო სფეროში პროცესები საპირისპიროდ ვითარდება — ბიუროკრატიული ხარჯი იზრდება, მატულობს ამ სეგმენტში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურებაც. ბიზნესმენები და სპეციალისტები ერთხმად ამბობენ, რომ აუცილებელია ბიუროკრატიული ხარჯის განახევრება, რადგან კრიზისს ქვეყანა თავს ვერ დააღწევს.

იმის მაგიერ, რომ მთავრობა კერძო ბიზნესის განვითარებაზე ზრუნავდეს, ბიუროკრატიას კიდევ უფრო ასტიმულირებს. ამან შეიძლება დიდი პრობლემა შეუქმნას ეკონომიკას, ხოლო კერძო სექტორი სრულ კატასტროფამდე მიიყვანოს. ეკონომისტ **რამაზ გერლიანის** აზრით, შესაძლებლობა ყოველთვის იყო, რომ ბიუროკრატიული ხარჯი შეემცირებინათ, მაგრამ ამის ნაცვლად ბიუროკრატია უფრო და უფრო ფართოვდება.

„ხარჯების ოპტიმიზაციაზე საუბრობენ და ამ დროს ხელფასები იზრდება საჯარო სექტორში, ახალი დანამატი სტრუქტურები შექმნეს, ჯერ თითქოს შეკუმშეს და მერე უცებ ახალი სამსახურები შეიქმნა ისე, რომ მათ არსებობას არგუმენტირებულად ვერავინ ასაბუთებს. ამხელა ბიუროკრატიული აპარატი არ ჰყავს ჩვენზე ეკონომიკურად გაცილებით ძლიერ და წინ წასულ ქვეყნებს, სწორედ ამიტომ ვითარდებიან. შესაბამისად, მეტ შედეგს აღწევენ არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ სფეროებშიც. ჩვენ კი ვერ ავუდივართ ამდენ სიპ-ებს და ა(ა)იპ-ებს, ამდენ სახელმწიფო საწარმოს, რომელიც წამგებიანია.

ოპტიმიზაცია აუცილებელია, მალე აღმოვჩნდებით მისი გარდაუვალი საჭიროების წინაშე და რაც შეიძლება, სწრაფად უნდა გადაიდგას ეს ნაბიჯი. საგარეო ვალი მუდმივად იზრდება, სახელმწიფოც სესხებზე გახდა ორიენტირებული და დამოკიდებული. შიდა მოთხოვნების დაკმაყოფილებას ხმარდება დიდწილად ეს ფული და კნინდება კერძო სექტორის როლი, რომელიც ისედაც დასუსტებული და დაკნინებულია. ამხელა ბიუროკრატია ხრავს ქვეყანას“, — აღნიშნა გერლიანმა.

იგივე პრობლემაზე საუბრობენ ბიზნესმენებიც. ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენელი, კომპანია „ჰელისკი ჯორჯიას“ დამფუძნებელი **ვატო ასათაშვილი** მიიჩნევს, რომ კრიზისის ფონზე სამინისტროებში ახალი კადრები კი არ უნდა ინიშნებოდეს, არამედ პირიქით — უნდა მცირდებოდეს ბიუროკრატია და ძლიერდებოდეს კერძო სექტორი.

„კრიზისი დაიწყო და ბიუროკრატია კი არ შეამცირეს, რიგ შემთხვევაში ბიუჯეტზე ჩამოკიდებული ხალხის რაოდენობა გაზარდეს. ლარი უფასურდებოდა და არგუმენტიც კი ვერ იპოვეს რისთვის დაებრალებინათ, გამოსავლის რეცეპტზე ხომ საუბარი ზედმეტია.

პრიტავიზაცია გაახსენდათ რამდენიმე თვის წინ და ზარ-ზეიმით შედგენილი საპრივატიზაციო სიიდან ჯერ ვერაფერი გაყიდეს.

არ უნდათ დაინახონ ქვეყანაში არსებული ფუნდამენტური პრობლემები, გაგებაში არ არიან რა იქნება ხვალ, პროგნოზების და გეგმების ნაცვლად, პირდაპირ ეთერში სადღეგრძელოებს გვიყვებიან.

პრემიერმა, ძალიან გვინდა წელს ტურიზმი 2019-ის 50%-მდე ავწიოთო, ნათია თურნავამ, დაახლოებით, 35%-მდე ავწევთო, გიორგი კაკაურიძემ (ფინანსთა მინისტრის მოადგილემ) 25%-ზე თუ ავედით, კარგიაო. ორი დღის ინტერვალში საპროგნოზო სტრატეგიაზეც ვერ ჩამოყალიბდნენ...

უმუშევრობა 20%-ს გადასცდა, ბენზინი — 3 ლარს, ქვეყნის სახელმწიფო ვალი - 60%-ს (მშპ-სთან მიმართებით). ამ მოცემულობით, ვისაც სახელმწიფო სამსახურში მუშაობა უნდა, ან უტიფარი მედროვეა, ან ვიღაცის შინაური, სხვაგან სამსახურის „პონტი“ რომ არ აქვს და აქ გარანტირებულ ხელფასს აიღებს“, — აღნიშნა ასათაშვილმა.

ექსპერტების და ბიზნესის საერთო პოზიციაა, რომ ბიუროკრატიული ხარჯი განახევრდეს, რადგან სხვა შემთხვევაში, არსებულ პრობლემას არაფერი უშველის და ეკონომიკა თავს ვერ დააღწევს კრიზისს, რომელშიც პანდემიის გამო აღმოჩნდა.

ეკა ბაქრაძე

უფალი ფარვიდა მეფეს

(პირველი გვერდიდან) **ჯერ კიდევ შუა გზამდე არ იყო მისული კალიასავით მოფენილ სელჩუკთა განდევნა საქართველოს მიწა-წყლიდან. ჯერ კიდევ არ მოეგოთ დიდგორის ომი, რომელიც წერტილს დაუსვამს მტრის მძლავრობას, ლამის ნახევარი საუკუნე რომ ბოჭავდა საქართველოს. ჯერ ისევ მაჰმადიანთა ხელთ რჩებოდა თბილისი, რომელიც მოუთმენლად ელოდა ოთხსაუკუნოვანი გასხვისების დასასრულს.**

მთავარანგელოზის ხატს რომ არ ეხსნა დავით აღმაშენებლის სიცოცხლე, ვინ იცის, რა ბედი ეწეოდა საქართველოს. ის კი უეჭველია, რომ დამპყრობელთა დამარცხებაც გადაიდებოდა გაურკვეველი ხნით და შინაური მტერიც გალაღდებოდა, რათა კვლავ არეულობისა და უმწეობის ბილიკებზე გადაეგდო ქვეყანა, წინსვლის შარაგზაზე რომ იყო გასული ახალგაზრდა ქართველი მეფის წყალობით. უფალმა უმძიმეს ჟამს მოუვლინა საქართველოს მხსნელად და აღმაშენებლად ძე კაცისა, ვისაც თექვსმეტი წლის ასაკში დაადგეს თავზე მეფის უმძიმესი გვირგვინი — საქართველოს გადასარჩენად.

ქართველი მემატიანე ასე აღწერს სელჩუკთაგან გაპარტახებული ქვეყნის ვითარებას: **„და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა. მოოხრდა ქვეყანა და ტყედ გარდაიქცა. და ნაცვლად კაცთა, მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა“.**

სისხლისმწვიმელი ღრუბელი ცაში და ღამე უკუნი ირგვლივ — აი, ასე ესახებოდა საქართველოს სურათი გაუგონარი ვაებით თავზარდაცემულ თვითმხილველს.

როგორც ამბობენ, ისტორიული კანონზომიერება შობს დიდ მოღვაწეებს, მაგრამ თამამად შეიძლება თქმა, რომ ისინი, არანაკლები წარმატებით, თვითონაც წარმართავენ ისტორიულ კანონზომიერებას და, არცთუ იშვიათად, მთავარ როლს ასრულებენ ამა თუ იმ მოვლენის მსვლელობაში, მათი ძალისხმევით წყდება ქვეყნის ბედი.

საუკუნეთა ბნელეთში აციმციმებული შუქურები, მაღალი ზნეობითა და გამჭრიახი გონებით შემკულნი, უშიშნი ვითარცა უხორცონი, ნუგეშსა გვცემენ და თავიანთი სახელებით ანათებენ ჩამოწოლილ წყვდიადს. ისინი ერთიმეორეს ანდერძივით უბარებენ სამშობლოსა და ხალხის სიყვარულს. იკვრება გრძელი და უწყვეტი ჯაჭვი, სხივმოსილი ანარეკლი ერის სულიერი პორტრეტისა.

ილია ჭავჭავაძე დავით აღმაშენებლის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში აღნიშნავდა, რომ საუკეთესო და უდიდესი შვილები ერისა გამოხატავენ და განახორციელებენ მთელი ქვეყნის გულისნადებსა და სანუკვარ იდეალებს, მათი მეოხებითა და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესაც და ვსულდგმულობთო.

სწორედ დავით აღმაშენებლის სახელმა ათქმევინა ილიას, რომ ერის სული და გული უნდა ვეძიოთ მის გმირებში, რომლებიც ქმნიან ქვეყნის ჭეშმარიტ ისტორიას.

ისინი, ცხადია, მარტოოდენ თაყვანსაცემ ძეგლებად როდი უნდა რჩებოდნენ, არამედ- ხატად და მაგალითად, რათა გამოაფხიზლონ უფსკრულის პირას მისული ქვეყანა, გონზე მოიყვანონ, მომავლის გზათა ძიება გაუადვილონ და როდესაც სასტიკი აწმყო შეაძრწუნებს სულს, იგი ჩაებღაუჭება იმედის ხავსს და სასოებით გაიმეორებს ოპტიმისტურ ნაზრევს: **„თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდენ, თუ გარემოებათა იგივეობას ვიგულისხმებთ“.**

უფალმა იხსნა სიკვდილისაგან დავით აღმაშენებელი, როდესაც მთავარანგელოზის პატარა ხატი დაუხვედრა მტრის ისარს, ქართველი მეფის გული რომ უნდა გაეპო.

უფალი ფარვიდა დავით აღმაშენებელს.

შემწყნარებელი და ლმობიერი, მართალი და დიდად მოწყალე უფალი წინ მიუძღოდა თავის რჩეულს ჭეშმარიტებისა და სათნოების გზაზე, უნთებდა სანთელს სიბნელის გასანათებლად, უსმენდა მის ვედრებას და მიუტევებდა ცოდვებს, ახარებდა მის სულს და იცავდა მტერთაგან შეჭირვებულს. უფალი ფარვიდა დიდებულ მეფეს. ის უფალი, რომელსაც სძულდა მოქმედნი უსჯულოებისა, კაცნი მოსისხლენი და მზაკვარნი.

სხვა ვინ უნდა შეეწყალებინა უფალს, თუ არა იგი — მეფე, რომელიც დაუცხრომლად ზრუნავდა დამპყრობელთა მიერ მისი მშობელი ხალხის დაბეჩავებულ-შერყვნილი სულის განწმენდასა და გამოცოცხლებაზე; ქვეყნის უბადლო მესაჭე, რომელსაც თანაბრად ემარჯვებოდა ხმალი და წიგნი, თანაბრად ამშვენებდა ბრძოლა და ცოდნა; მეფე, რომელიც დაუზარებლად მიდიოდა ხოლმე მისივე ბრძანებით აგებულ ქსენონში და გულმოდგინედ ამოწმებდა, თუ როგორ უვლიდნენ და კურნავდნენ სნეულებსა და ომში დასახიჩრებულთ; სახელმწიფო საქმეებით გადატვირთული და მოუცლელი, ათასი გადაუდებელი საფიქრალით გონდაქანცული მაინც პოულობდა დროს, რომ შეემომებინა, თუ როგორ საწოლებზე იწვნენ ქსენონის ბინადარნი, რა ეცვათ და რასა სჭამდნენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით, **„მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვის თითოეულსა, აფუფუნებდის მამებრ, განამხნობდის მოთმინებისა მიმართ“.**

ალბათ, დღენიადაგ იმეორებდა თავისი სეხნიის, ქართველ ბაგრატიონთა წინაპრად შერაცხილი ებრაელთა მეფის მიერ უფლისადმი აღვლენილ ვედრებას: **„იხილე სიმდაბლე ჩემი, და შრომა ჩემი და მომიტევენ მე ყოველნი ცოდვანი ჩემნი“.**

უფალმა იხსნა სიკვდილისაგან დავით აღმაშენებელი. უფალმა ერთი კაცი გადაარჩინა და მთელი ქვეყანაც, ვინაიდან ის ერთი კაცი განასახიერებდა თავის სამშობლოს უფლის წინაშე, იგი განაგებდა მშობელი ხალხის ბედ-იღბალს. ემსახურებოდა საქართველოს თავდადებული, გულდაუზოგავი, ფიქრუწყვეტელი, მკლავმოუღლელი, მუხლჩაუხრელი და სულგრძელი კაცი - ღვთისგან გამორჩეული და ღვთივკურთხეული მეფე.

„ჩვენში ერთდროულად, არეულად და შეტყუპებულად, ორი საქართველო ცხოვრობს... საქართველო წამებულთა, თავდადებულ გმირთა, ქვეყნის უანგარო ჭირისუფალთა და საქართველოს მოღალატეთა, რჯულგამდგართა, ფიცის მტეხელთა და შეჩვენებულთა“, და როდესაც მისისვე მოწაფე მოკრძალებით შენიშნავს, ეგ ყველგან ეგრე არისო, ზოსიმე ბერი დამაჯერებლად უხსნის: „ეგ მე არ მეკითხება, მე ჩემსას ვჩივი!... სხვისი სიგლახე კი რა თავის გამართლებაა?!“

მთავარანგელოზის ხატს რომ არ აესხლიტა ისარი, ვინ იცის, როგორ შებრუნდებოდა ბედი ქართლისა.

— ქართულ მწერლობაში ძნელად თუ მოიძებნება ესოდენ მწარე და ულმობელი სიტყვები, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს რომ დაუწერია: **„ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგან თვისთა უფალთა; რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და მშვიდობა პოონ და განსვენება, იწყონ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“.**

ეს მოსაზრება მეტ-ნაკლები მსგავსებით გვხვდება მომდევნო დროთა ნაწერებშიც და გვაკრთობს, გვაფიქრებს, საგონებელში გვაგდებს.

არავის არ წადია საკუთარი თავის განქიქება, მაგრამ სადღა გაექცევი, როდესაც ძალუმად შეგანჯღრევს მოზღვავებული უკეთურება?

განა არ იცის ქართველმა მემატიანემ, რომ სხვა ხალხთა შვილებს არანაკლებ ემარჯვებათ ორგულობა და ბოროტი ზრახვანი? რა თქმა უნდა, მშვენივრად იცის, მაგრამ უწინარესად თავისი ხალხის მანკიერება აღელვებს და აწუხებს.

სწორედ ამგვარ პოზიციას შესანიშნავად გამოხატავს ლევან გოთუას „გმირთა ვარამის“ ერთ-ერთი პერსონაჟი — ზოსიმე ბერი, გულნაღვლიანად რომ ამბობს: **„ჩვენში ერთდროულად, არეულად და შეტყუპებულად, ორი საქართველო ცხოვრობს... საქართველო წამებულთა, თავდადებულ გმირთა, ქვეყნის უანგარო ჭირისუფალთა და საქართველოს მოღალატეთა, რჯულგამდგართა, ფიცის მტეხელთა და შეჩვენებულთა“, და როდესაც მისისვე მოწაფე მოკრძალებით შენიშნავს, ეგ ყველგან ეგრე არისო, ზოსიმე ბერი დამაჯერებლად უხსნის: „ეგ მე არ მეკითხება, მე ჩემსას ვჩივი!... სხვისი სიგლახე კი რა თავის გამართლებაა?!“**

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის გულისტკივილიც გასაგებია. აბა, როგორ დაძრახავ, ანდა ცდომილებას როგორ უკიჟინებ მშობელი ქვეყნის მოზარეს? განსწავლული და პირუთვნელი ბიოგრაფი ბრძენი მეფისა გვამცნობს ავბედით სნეულებას, ძველთაგანვე რომ გაჩენილა ჩვენს მიწა-წყალზე.

დავით აღმაშენებელი მძიმე გამოცდის წინაშე იდგა. როგორ უნდა მოეწოდებინა ხალხისათვის დამპყრობელთა წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლა, როდესაც ირგვლივ უსამართლობა და განუკითხაობა სუფევდა? როდესაც უბრალო მოკვდავს მხოლოდ მაშინ შეეძლო ეპოვა სამართალი, თუკი გზაში სადმე დაუდარაჯდებოდა მეფეს და თავის გასაჭირს შესჩივლებდა. როგორ უნდა აღედგინა ხალხის მხნეობა და რწმენა, როდესაც სულიერი მოძღვარნი ქვეყნისა, საღვთო რჯულის ერთგულების ნაცვლად, საწინააღმდეგო მაგალითებს აძლევდნენ თავიანთ სამწყსოს ანუ როგორც მემატიანე გვაუწყებს: „წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქვაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს“.

ადამიანთა სულის მკურნალი თვითონ გამხდარიყო საკურნებელი...

ეკლესიას უნდა დაპატრონებოდნენ **„ჭეშმარიტი მწყემსნი და სათნონი უფლისანი“.** ამგვარი გარდატეხა გადაუდებელ ამოცანად ესახებოდა მეფეს და არც დაუყოვნებია მისი შესრულება.

დავით აღმაშენებელმა ტახტზე ასვლისთანავე აგრძნობინა ქართველ ფეოდალებს, რომ წინანდელი უილაჯო მეფის მაგიერ ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ძლიერი პიროვნება და წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც მეფე მეამბოხე ფეოდალების გულის მოგებას ლამობდა.

დავით აღმაშენებელმა ზურგი შეაქცია თავისი მამის ფრთხილსა და გაუბედავ პოლიტიკურ კურსს, რომელიც გულისხმობდა ერთგულთა და ორგულთა თანაბრად შეწყნარებას, ურჩ ფეოდალთა მოთვინიერების მცდელობას წყალობითა და ტკბილი სიტყვით. დავით აღმაშენებელმა, წინაპართა გამოცდილების საფუძველზე, მშვენივრად იცოდა, რომ გადამთიელ მტერზე უფრო საშიში და ვნების მომტანი იყო შინაური მტერი, რომელიც ქვეყნის გაძლიერებას აფერხებდა და მის სასიცოცხლო ენერგიას ახშობდა, ოღონდაც საკუთარი ინტერესები გაეძღო.

ცხადი იყო, რომ ქვეყნის მუდმივ სატკივარს მხოლოდ მკაცრი ზომებით თუ განკურნავდნენ.

აღიარებული შეხედულებით, შუა საუკუნეთა სახელმწიფოებში მეფე წარმოადგენს მთელი ფეოდალური იერარქიის მწვერვალს, ურომლისოდაც ვასალებს არსებობა არ ძალუძთ და რომლის წინააღმდეგაც, იმავდროულად, გაუთავებლივ ამბოხებას აწყობენ. ამ არეულ-დარეულ ვითარებაში, სამეფო ხელისუფლება უდავოდ, წარმოგვესახება პროგრესულ ელემენტად. საყოველთაო ქაოსის ფონზე მარტოოდენ მეფეა წესრიგის წარმომადგენელი და გარანტი, სიმბოლო ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერისა, რომლის სულისკვეთება უპირისპირდება ქვეყნის დაქუცმაცების ტენდენციებს.

თავისი მეფობის დასაწყისში, დავით აღმაშენებელი, ხედავდა რა მეომართა სიმცირესა და მათი საბრძოლო თვისებების უკმარისობას, ენერგიულად წვრთნიდა, მხნეობას უნერგავდა, წვრილ-წვრილ შეტაკებებში აჩვევდა ბრძოლას. უამრავი მარცხის შედეგად დაკარგულ ვაჟკაცობას უბრუნებდა, გულადებს აქებდა და აჯილდოებდა. ლაჩრებს ხან სიტყვიერად კიცხავდა, ხანაც დედაკაცის სამოსელში გამოაწყობდა ხოლმე, რათა გაეღვიძებინა მათი თავმოყვარეობა. ამყარებდა მკაცრ სამხედრო დისციპლინას, **„საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“.**

დავით აღმაშენებელი ბრძოლის დროს ზურგიდან როდი სარდლობდა მეომრებს, შორიდან როდი ესმოდათ მისი მოწოდებანი, ჯარს წინ მიუძღოდა და **„ვითარ ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა“.**

დავით აღმაშენებლის რეფორმათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ყივჩაღთა ჩამოსახლება და მათგან მუდმივი ჯარის შექმნა, რომელიც უშუალოდ მეფეს დაემორჩილებოდა. ორმოცდახუთი ათასი პროფესიონალი მხედარი საიმედო დასაყრდენად ესახებოდა შინაური თუ გარეული მტრების წინააღმდეგ. ეს არაფრად ეჭაშნიკებოდათ დიდგვაროვან აზნაურებს, რომლებიც საყვედურობდნენ დავით აღმაშენებელს: ამდენი უცხოელი რისთვის ჩამოგვითესლე, ჩვენი მტრის ნაცვლად ჩვენვე გადაგვქელავენო.

უკმაყოფილება მეფის პოლიტიკით მიჩუმათებული როდი ყოფილა. თურმე დანაშაულად უთვლიდნენ მეფეს, როდესაც ვინმეს შეიყვარებდა და განადიდებდა, ანდა — სხვას მოიძულებდა და დაამცირებდა. მემატიანეს გულწრფელად უკვირს ასეთი ბრალდება: როგორ უნდა ჩავთვალოთ უსამართლობად, რომ მეფემ ორგულთა, უგუნურთა და ჯაბანთა ნაცვლად, ერგულნი, გონიერნი და გულადნი დააწინაურაო, კაცი ამგვარი ქმედებით ღმერთს ემსგავსება და მისი დაძრახვა როგორ იქნებაო?

მეფეს ბრალად სდებდნენ ქვეყნის კეთილდღეობის დამცრობასაც — ამდენი ომიანობით საქართველო წელში გაწყდა, ამდენ სისხლისღვრას ხალხი ვეღარ გაუძლებსო. ვაი ასეთ ბრალდებას! თითქოსდა მეფის გასართობად ეწყობოდა ლაშქრობანი, თითქოსდა უკიდურესი საჭიროებით არ იყო გამოწვეული ომი და სისხლისღვრა, თითქოსდა ვინმეს ეამებოდა უდროო სიკვდილი თუ დასახიჩრება. მაგრამ უომრად რა განდევნიდა საქართველოს ტერიტორიიდან სელჩუკებს, რომელთაც ეწადათ საქართველოს ყანებისა და ბაღ-ვენახების გადაქცევა მომთაბარეთა ჯოგებისა და ფარების საძოვრად.

მოამზადა
ლაშა გიორგაძემ

სახაროვი და საქართველო

ვინ იყო სახაროვი?

2021 წლის 21 მაისს ანდრეი სახაროვის 100 წლის იუბილეს რუსეთში აუცილებლად დიდი პომპეზურობით აღნიშნავდნენ, გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საქვეყნოდ ცნობილ ფიზიკოსს („წყალბადის ბომბის მამას“) საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების „წმინდა საქმისთვის“ რომ არ ეღალატა და დისიდენტური საქმიანობის რთულ გზას არ შესდგომოდა.

1956-1962 წლებში აკადემიკოსი სახაროვი ბირთვული იარაღის ატმოსფეროში გამოცდის წინააღმდეგ გამოვიდა, 1968 წელს კი დაწერა ვრცელი სტატია „მოსაზრებები პროგრესზე, მშვიდობიან თანაცხოვრებასა და ინტელექტუალურ თავისუფლებაზე“, რომლის შინაარსი რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის ოფიციალურ კურსს.

„საზოგადოება საჭიროებს ინტელექტუალურ თავისუფლებას, ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას, მოვლენების განხილვისა და ანალიზის თავისუფლებას, თავისუფლებას ავტორიტეტებისა და ცრურწმენებისგან“...

„როცა ამ საშინელ იარაღზე, წყალბადის ბომბზე დავიწყე მუშაობა, სუბიექტურად მიმაჩნდა, რომ მშვიდობას ვემსახურებოდი, ბალანსის დაცვას ვემსახურებოდი ამ სამყაროში... მეგონა, რომ ეს სამუშაო სასარგებლო იქნებოდა ჩემი ხალხისთვის, მსოფლიოსთვის“.

1970 წელს სახაროვმა, ვალერი ჭალიძესა და ანდრეი ტვერდოხლებოვთან ერთად, დააარსა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი. როგორც კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდია წერს სტატიაში „საბჭოთა პერიოდის დისიდენტობის ისტორიიდან“, კომიტეტის ერთ-ერთი მიზანი იყო საბჭოთა „მართლმსაჯულების“ მხილება, აგრეთვე ბრძოლა პოლიტპატიმართა უფლებებისთვის:

„არქივში აღმოჩნდა სუკ-ის 1973 წლის საიდუმლო მოხსენება, სადაც ნათქვამია, რომ აკად. სახაროვი იყენებს თავის ავტორიტეტს, რათა ზეგავლენა მოახდინოს „ანტისაზოგადოებრივი ელემენტების“ წინააღმდეგ გამართულ სასამართლო პროცესებზე. ოფიციოზის ჟარგონით, სწორედ ასეთ ელემენტებად ითვლებოდნენ დისიდენტები“.

1975 წლის 10 ოქტომბერს სახაროვს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. როგორც ნობელის კომიტეტმა განმარტა,

„საქართველო - მცირე იმპერია!..“

იმის გამო, რომ „სახაროვი უკომპრომისოდ და ქმედითად იბრძოდა არა მხოლოდ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ყველა სახის წინააღმდეგ, არამედ თანაბარი ენერგიით იცავდა სახელმწიფოს იდეალს, რომელიც დაფუძნებულია სამართლიანობის პრინციპზე. სახაროვმა დამაჯერებლად გამოთქვა აზრი, რომ მხოლოდ აღამიანის უფლებების ხელშეუხებლობა შეიძლება გახდეს საერთაშორისო თანამშრომლობის ნამდვილი და მდგრადი სისტემის საფუძველი“.

სანობელე ლექციაში, რომელიც სახაროვის ცოლმა ელენე ბონერმა, წაიკითხა, სახაროვი ამბობდა: „მშვიდობა, პროგრესი, ადამიანის უფლებები — ეს სამი მიზანი განუყოფლად არის დაკავშირებული. შეუძლებელია რომელიმე მათგანის მიღწევა, სხვების უგულებელყოფის ხარჯზე“.

ყოფილი დისიდენტი ვახტანგ ძაბირაძეც ანდრეი სახაროვისა და ალექსანდრ სოლჟენიცინის ფიგურების მასშტაბურობაზე ლაპარაკობს, თუმცა აქვე ყურადღებას ამახვილებს მათი მსოფლმხედველობების არსებით განსხვავებაზე:

„განსხვავებული გზებით მივიდნენ ანტისაბჭოთა საქმიანობამდე. სოლჟენიცინმა გაიარა ომი და გულაგები, სახაროვმა — კრემლის ხალიჩები და კაბინეტები. სახაროვის გადისიდენტება დაიწყო მას შემდეგ, რაც დაინახა, რომ საბჭოთა კავშირი არღვევდა ხელშეკრულებებს, მათ შორის განიარაღების შესახებ გაფორმებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. აქედან დაიწყო სახაროვის პროტესტი“.

1980 წლის 22 იანვარს სახაროვი, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, საბჭოთა ხელისუფლებამ გადაასახლა ქალაქ გორკიში. ამავე წელს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, მას ჩამოერთვა სამგზის სოციალისტური შრომის გმირის (1953, 1956, 1962), სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატის (1953, 1956) წოდებები. როგორც ჩანს, გადასახლების მიზეზი გახდა უკომპრომისო დისიდენტური საქმიანობა და საბჭოთა კავშირის მთავრობის მწვავე კრიტიკა 1979 წელს ავღანეთში შეჭრის გამო.

სახაროვის გადასახლება მხოლოდ „პერესტროიკის“ დაწყების შემდეგ, 1986 წლის დეკემბერში, დასრულდა, თუმცა, როგორც დავით ბერძენიშვილი იხსენებს, ვიდრე ანდრეი სახაროვმა არ მიიღო დასტური, რომ მასთან ერთად ყველა დისიდენტი თავისუფლდებოდა, მანამდე არ დაეთანხმა გორბაჩოვს გორკის გადასახლებიდან დაბრუნებაზე.

სად და როგორ თქვა

1989 წლის ივლისში, როცა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა I ყრილობა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებას ცდილობდა, აკადემიკოსმა სახაროვმა, როგორც ყრილობის დელეგატმა და კონსტიტუციის ალტერნატიული პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა, ინტერვიუ მისცა ჟურნალ „ოგონიოკს“ (№31).

პუბლიკაცია, სათაურით „თავისუფლების ხარისხი“ (Степень свободы), თითქმის მთლიანად დაეთმო „ეროვნულ საკითხს“ და მანკიერ სისტემას, რომელიც, სახაროვის თქმით, სტალინიზმის იმპერიული პოლიტიკის მემკვიდრე იყო და რომელიც განსაკუთრებით აზარალებდა იმ მცირე რესპუბლიკებსა და ეროვნულ წარმონაქმნებს, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში შედიოდნენ.

„თავის მხრივ ეს მოკავშირე რესპუბლიკები იქცნენ მცირე მასშტაბის იმპერიებად“, — ამბობს სახაროვი ინტერვიუში რესპუბლიკების დასახელების გარეშე. — **„შემომაქვს კონფედერაციის წინადადება. ყველას — მოკავშირე რესპუბლიკას, ავტონომიურს, ავტონომიურ ოლქს თუ სხვა სახის წარმონაქმნს — უნდა მიეცეს თანაბარი უფლება და შეინარჩუნოს უკვე არსებული საზღვრები. ყველა მათგანმა უნდა მიიღოს დამოუკიდებლობის მაქსიმალური ხარისხი. მათი სუვერენიტეტი მინიმალურად უნდა შეიზღუდოს თავდაცვის, საგარეო ურთიერთობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ერთობლივი საკითხებით. სხვა ყველაფერში ისინი სავსებით დამოუკიდებლები იქნებიან და ასეთი პირობებით მოაწერენ ხელს ახალ საკავშირო შეთანხმებას“.**

ანდრეი სახაროვმა მოდელად დაასახელა ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც სხვადასხვა ზომის, კანონმდებლობისა და ფართობის მქონე სახელმწიფო წარმონაქმნები თანაბარი უფლებებით მონაწილეობენ ერთიანი ქვეყნის ცხოვრებაში. შტატების დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით აღფრთოვანებული სახაროვი ითხოვდა საბჭოთა იმპერიული ძალადობრივი გაერთიანების ჯერ დემონტაჟს, შემდეგ კი ახალი კავშირის შექმნას. სწორედ აქ ახსენა ცნობილმა დისიდენტმა პირველად საქართველო:

„ვიმეორებ, უნდა დავიწყოთ იმპერიული სტრუქტურის სრული დემონტაჟით. მხოლოდ ასე შეიძლება ეროვნული საკითხის გადაჭრა მცირე იმპერიებში, როგორებადაც თავისი არსით მოკავშირე რესპუბლიკები გვევლინებიან, მაგალითად, საქართველო, რომლის შემადგენლობაში შედიან აფხაზეთი, ოსეთი და სხვა ეროვნული წარმონაქმნები“.

ანდრეი სახაროვის თქმით, გამონაკლისის დაშვება დამღუპველი იქნება. შესაბამისად, ისევე უნდა გათავისუფლდნენ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები, როგორც საქართველოს სსრ-ს წევრები — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

„შეთავაზებულ სისტემაში იქნებიან მხოლოდ თანაბარუფლებიანი რესპუბლიკები. ყოფილი ავტონომიური ოლქებიც რესპუბლიკებად გარდაიქმნებიან. მაგალითად, მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა არც სომხეთის იქნება და არც აზერბაიჯანის, ის თავისთვის იარსებებს კავშირის შემადგენლობაში და მიიღებს უფლებას, დაამყაროს ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობები იმასთან, ვისთანაც თვითონ ჩათვლის მიზანშეწონილად. ამგვარი გადაწყვეტილებით სარგებელს ნახავს ყველა მოქალაქე. მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით შეიძლება ეროვნული საკითხის გადაჭრა“.

სახაროვი ამავე ინტერვიუში ლაპარაკობს განახლებული საბჭოთა კავშირის შემადგენლობის დატოვების უფლებაზე, რომელიც ყველა სუბიექტს, მათ შორის ყოფილ ავტონომიურ რესპუბლიკებსაც უნდა ჰქონდეთ:

„ყველა ისარგებლებს თანაბარი უფლებებით, ფართობისა და მოსახლეობის რიცხოვნების მიუხედავად“.

ჯიმშერ რეხვიაშვილი,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გაღმა შედავებაც ასეთი უნდა!

რუსეთი საქართველოს, ჩეხეთს, უკრაინასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს ემუქრება

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ვიაჩესლავ ვოლოდინი საქართველოსგან, უკრაინისგან, ჩეხეთისგან და ბალტიისპირეთის ქვეყნებისგან მობოდიშებას მოითხოვს და ამ სახელმწიფოების მიმართ დაუფარავ მუქარას აყენებს.

მისი აზრით, ჩამოთვლილი ქვეყნები „თვითდამკვიდრების მცდელობებში ზღვარზე მეტად პროგნოზირებადები გახდნენ“. **„თითოეული მათი განცხადება იწყება პოლიტიკით, მაგრამ მთავრდება ხვეწნით „მოგვეცით ფული“. როდესაც ეს ქვეყნები სოციალისტურ ბანაკში შედიოდნენ, მაშინ მიეჩვივნენ სხვის ხარჯზე ყოფნას და ეს ჩვევა დღემდე შემორჩათ. ეს მავნე ჩვევა არიარსებებდა, მათ რომ სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა არა სიტყვიერად, არამედ რეალურად გააჩნდეთ. მაგრამ მათ არჩევანი უკვე გააკეთეს და ეს არჩევანი სატელიტი სახელმწიფოების სასარგებლოდ გაკეთდა“** — წერს ვოლოდინი თავის Telegram-არხში და დასძენს, რომ **„რუსეთს კი არ აქვს ამ ქვეყნების წინაშე ვალი, პირიქით — მათ ჰმართებთ რუსეთის“.**

უკრაინაზე საუბრისას რუსი პოლიტიკოსი წერს, რომ „ქვეყანას რუსული გაზის ტრანზიტისგან შემოსავლის დაკარგვის ეშინია და „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის მშენებლობისთვის ფულად კომპენსაციას მოითხოვს“.

ჩეხეთი, მისი თქმით, რუსეთის წინააღმდეგ „გაუაზრებელ“ ბრალდებებს აყენებს ვრბეტიცაში მომხდარი აფეთქებების გამო და ახლა „რაღაც 40 მლნ ევროზე საუბრობს“.

„ასე იძცევა ბალტიისპირეთიც. ვერ გადაჭრა რა საკუთარი ეკონომიკური პრობლემები, რალაც „კომპენსაციებს“ ითხოვს საბჭოთა პერიოდისთვის“...

„რუსეთს კი არ აქვს თქვენი ვალი, პირიქით — თქვენ გაქვთ მისი! მადლიერები უნდა იყოთ! რუსეთის მოქალაქეებს არ მოუთხოვიათ თქვენგან ის, რასაც თავის დროზე საკუთარ თავს აკლებდნენ თქვენთვის მოსაცემად — ქმნიდნენ რა სამუშაო ადგილებს, დებდნენ რა ძალასა და რესურსს თქვენს განვითარებაში, გიცავდნენ რა გარე გამოწვევებისა და საფრთხეებისგან. ნუ გავიწყდებათ, რომ სწორედ რუსეთმა იკისრა სსრკ-ის ვალების გადახდის ვალდებულება. თუ სინდისი არ გაქვთ, ზღვარი მაინც იცოდეთ! გახსოვდეთ, რომ რუსი კაცი ეტლს დიდხანს ამზადებს, მაგრამ მერე სწრაფად მიდის! სწორი იქნებოდა, ბოდიში მოგეხადათ და დაგვიწყო ურთიერთობა მომავალზე ფიქრით“, — აღნიშნავს პოლიტიკოსი.

სახელმწიფო სათათბიროს სპიკერი ჩამოთვლილ ქვეყნებს მოუწოდებს, **„ნუ ცდილობენ ყველა თავის პრობლემაში დამნაშავედ რუსეთის გამოყვანას“. „თქვენით დაიწყეთ! 30 წელია უკვე, დამოუკიდებელ სახელმწიფოებს აშენებთ. ნურც თავს იტყუებთ, ნურც სხვებს!“,** — ასკვნის ვოლოდინი.

◎ ივნისის „თეზისები“

კარპატებს შეკრეს პირობა...

ვილი სანიოლის მოწვევა, სხვა თუ არაფერი, მხოლოდ იმითაა გამართლებული, რომ მისი თავკაცობით საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა რუმინელებს ჯადო ახსნა და მერვე შეხვედრაში პირველად დაამარცხა, თანაც სტუმრად ქალაქ პლოეშტში — 2:1 (ხუთი წაგებისა და ორი ფრის შემდეგ, ბურთების კატასტროფული შეფარდებით — 4:19!).

არანაკლებ ფასეულია **გიორგი მიქაუტაძისა** და **გიორგი აბურჯანიას** ფაქტორი, რომლებმაც „ჯვაროსანთა“ მაისურით პირველი გოლები გაიტანეს, თუმცა ნურც ფრანგი სპეციალისტის სამწვრთნელო ალღოს დავივიწყებთ, რომელმაც ბრძოლაში შესვენების შემდეგ კიტეიშვილისა და ლობჟანიძის ჩართვით ჩვენი გუნდის იერიშები საფუძვლიანად გაამწვავა და სავსებით ლოგიკურია, სწორედ დასახელებული დუეტის ასისტენტობით რომ გავიდა მასპინძელთა კარში ეფექტური ბურთები.

სხვა შემთხვევაში ხაზს სტუმართა საკადრო პრობლემებსაც გავუსვამდით, რადგან კაპიტანი კანკავა, კვარაცხელია, ყაზაიშვილი, ჩაკვეტაძე და სხვა ამბიციური მოთამაშეები გვაკლდა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მთელი რიგი ლიდერები კარპატელებსაც ვერ ეხმარებოდნენ, მატჩი კი 10-10 ფეხბურთელით დავასრულეთ.

მოკლედ, ნავსი გავტეხეთ და კვირას 20 საათზე ქალაქ ენსხედეში ნიდერლანდელებს ამაღლებული განწყობით ვეწვევით. ეს ამ მეტოქეთა პირველი შეხვედრა იქნება, თანაც „ნარინჯისფერთათვის“ — უკანასკნელი სპარინგი ევროპის დამდეგი ჩემპიონატის წინ.

დანარჩენი შედეგები: ნიდერლანდები — შოტლანდია 2:2, ინგლისი — ავსტრია 1:0, დანია — გერმანია 1:1, საფრანგეთი — უელსი 3:0.

◎ მხარე

თურმე, არც ისე წვიმს...



ახლახან სინანულით გაუწყეთ, **რომ ზუგდიდის სტადიონის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი სოლიდური თანხის ნახევარი — 10 მილიონი ლარი არამიზნობრივად დაიხარჯა და სამეგრელოს მთავარ სპორტულ სარბიელზე გულშემატკივართა დაბრუნების პროცესი გაურკვეველი ვადით იყო შეჩერებული.**

გვირაბის ბოლოში სინათლის გამოჩენის ტოლფასად შეიძლება შეფასდეს ის ინფორმაცია, აღნიშნული პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდგომ რომ გავრცელდა: როგორც შევიტყვეთ, ამ დღეებში ოდიშს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და კომპანია „კარკასის“ წარმომადგენლები ეწვივნენ, არენის კეთილმოწყობის საბოლოო გეგმა შეიმუშავეს და, როგორც უეფას მედია-ოფიცერი, სფფ-ის სტადიონების განყოფილების თავკაცი **მამუკა კვარაცხელია** გვაიმედებს, 2022 წლის ბოლოსათვის ზუგდიდის სტადიონის მშენებლობის დასრულება სავსებით შესაძლებელი იქნება.

„მართალია, სამუშაოების წარმოების დროს მოედნის გარშემო ბეტონის კედელი ააშენეს, რაც ობიექტს უეფას ლიცენზიის მინიჭების შანსს უსპობდა, მაგრამ იგი მოინგრა და, უკვე დარწმუნებული ვარ, პროექტი უეფას მესამე კატეგორიის მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებს.

შესაბამისი ტენდერი კომპანია „კარკასმა“ მოიგო და რეკონსტრუქციასაც იგი დაასრულებს. მისი წარმომადგენლები ჯერ ფედერაციაში იყვნენ და დეტალები დაზუსტეს, ხოლო შემდეგ სფფ-ის სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად უშუალოდ სამშენებლო პოლიგონს ვეწვიეთ და ხარვეზებზე იქვე მივუთითეთ.

პროექტის მიხედვით, რომელიც ივნისის მიწურულს განიხილება, გადაიხურება ცენტრალური ტრიბუნა, საერთაშორისო სტანდარტებს დააკმაყოფილებს მაღალი ხარისხის — მინიმუმ 1200-დან 1400 ლუქსამდე განათება და მოეწყობა საუკეთესო მედია, აგრეთვე ვიპ-ლოჟები, საიდანაც მინდვრის ყოველი წერტილი ჩანს.

დავძენ, რომ ახალი არენა 7000 ქომაგს დაიტევს, მის გვერდზე კი სავარჯიშო სტადიონიც გვექნება, ასევე ხელოვნური განათებით. მოკლედ, გაისად, სეზონის ბოლოს, საქართველოს კიდევ ერთი კოპწია სარბიელი დაამშვენებს“.

◎ ძალოსნობა



ნამუსი მოგვწმინდა

ისე როგორ იქნებოდა, უმედლოდ დავბრუნებულიყავით ბუდაპეშტიდან, სადაც ახალგაზრდა ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ხუთკაციანი დელეგაციით ჩავედით (მთავარი მწვრთნელი — მალხაზ ლომთაძე).

ქართული კვინტეტიდან საუკეთესო შედეგი 102 კილოგრამი წონითი კატეგორიის შტანგისტმა **ზაზა ლომთაძემ** აჩვენა, რომელიც მესამე პრიზიორი გახდა როგორც აკვრაში, ისე ორჭიდში, ხოლო ატაცში მეოთხე ადგილი დაიკავა.

საბოლოო შედეგები ორჭიდის ჯამში: რახატ ბეკბოლატი — 377 (ყაზახეთი, 175+202), ვასილ მარინოვი — 370 (ბულგარეთი, 170+200), ზაზა ლომთაძე — 351 (საქართველო, 157+194).

◎ ფარიკაობა

გენერალური რეპეტიცია

ჩვენი ოლიმპიური იმედი, ევროპის ჩემპიონატების ოთხგზის მედალოსანი და ტოკიოს თამაშების ლიცენზიატი სანდრო ბაზაძე იაპონური ფორუმისთვის საფრანგეთში სპეციალური პროგრამით უკვე კარგახანია ემზადება, ამ დღეებში კი ძალები სტრასბურგში 30 მუშკეტერის მონაწილეობით გამართულ პრესტიჟულ საუნივერსიტეტო ტურნირში მოსინჯა და საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა.

პირველ ეტაპზე წარმატებით გამოსვლის შემდეგ ქართველ მოფარიკავეთა ლიდერი ფინალში პრინციპულ მეტოქესთან, ბილიკის მასპინძელ ბილად აპიტისთან დამარცხდა და „ვერცხლს“ დაეუფლა.

◎ ჭიდაობა

მსუყე ნადავლით

3-3 „ოქრო-ვერცხლი“, 5 „ბრინჯაო“ და გუნდური მეორე ადგილი — ასეთი მონაგრით დაბრუნდნენ საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრები სტამბოლში გამართული ახალგაზრდა ფალავანთა საერთაშორისო ტურნირიდან, სადაც ორი ქართული ფინალიც გათამაშდა.

ისინი თანატოლთა ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელსაც 28 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით დორტმუნდი უმასპინძლებს.

თურქულ ხალიჩაზე გადახდილი ბრძოლების შემდეგ ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ:

„ოქრო“ — გიგი ქურხული (65 კგ, საგარეჯო), დავით ფაცინაშვილი (70 კგ, გორი), დავით კოღუაშვილი (86 კგ, ქუთაისი);

„ვერცხლი“ — ლუკა ჩხიტუნიძე (70 კგ, საჩხერე), ლუკა მარიამიძე (74 კგ, თბილისი), გიორგი ჩანქსელიანი (86 კგ, ხონი);

„ბრინჯაო“ — გიორ გიგეგელაშვილი (57 კგ, გორი), დავით აბდალაძე (61 კგ. ქუთაისი), ბაგრატ გაგნიძე (79 კგ, ქუთაისი), ანდრო მარგიშვილი (92 კგ, ქარელი) და გიორგი ჩიხრაძე (125 კგ, ონი).

◎ ჰოკეი

კლასიკური პლეი-ოფი

რიგაში მიმდინარე ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური რაუნდის უმთავრეს სენსაციაზე უკვე ინფორმირებულნი ხართ: პლეი-ოფს მილმა პირველად დარჩა ფორუმის მარადიული ფავორიტი — შვედეთი.

საერთოდ, ლატვიურ ყინულზე მოვლენები ისე განუჭვრეტლად ვითარდებოდა, უკანასკნელ მომენტამდე ძნელი გამოსაცნობი გახლდათ, ვინ გააგრძელებდა მედლებისთვის ბრძოლას.

ასე მაგალითად, კატასტროფასთან ასევე ძალიან ახლოს იყვნენ კანადელები, რომლებმაც ფინეთთან ძირითად დროში მოპოვებული სამადლო ქულით შეასრულეს პროგრამა — მინიმუმი (ბულიტებში „სუომიმ“ იმარჯვა).

აღსანიშნავია, რომ „ტრე კრუნურის“, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, ნორვეგიისა და დანიის გუნდების მსგავსად, ტურნირს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ნაკრებები — მასპინძლები, საკმაოდ კერკეტი კაკალი — ყაზახეთი და ბელარუსი გამოეთიშნენ, რომელსაც, რომ არა ლუკაშენკოს რეპრესიული რეჟიმის გამო დამსახურებული სანქცია, ბალტიისპირელებთან ერთად უნდა მიეღო „მუნდიალი“.

რაც შეეხება მეოთხედფინალებს, მეტოქენი ასე დაწყვილდნენ: გერმანია — შვეიცარია, აშშ — სლოვაკეთი, ჩეხეთი — ფინეთი, რუსეთი — კანადა(!).

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ დაბადების 90 წლისთავს სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, ღირსების ორდენოსანს, საქართველოსა და საკავშირო სპორტკომიტეტების სიგელების კავალერს, ჩვენს ძველ მეგობარსა და სასურველ ავტორს

გივი მძელურს

მრავალჟამიერ, ძვირფასო იუბილარო!

ეკონომიკის სამინისტრო „ნამახვანჰესზე“ კვლევების შედეგებს აქვეყნებს

ეკონომიკის სამინისტრო „ნამახვანჰესის“ პროექტთან დაკავშირებით 2007-2019 წლებში 4 დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომპანიის მიერ პროექტის ეკონომიკურ შეფასებებს აძვეძნებს. სამინისტროს განმარტებით, თემაზე განცხადებას მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სპეკულაციების გაბათილების მიზნით აკეთებენ.

სამინისტროს ცნობით, ნამახვანის პროექტი საქართველოს ენერგოსექტორში ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესწავლილი პროექტია და მისი ენერგეტიკული-ეკონომიკური-საინჟინრო დასაბუთების მიზნით არაერთი კვლევა ჩატარდა. კერძოდ, უწყების ინფორმაციით:

● 2007 წლის დეკემბერში, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით „საქართველოს ენერგოსისტემის განვითარების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება“ განხორციელდა. კვლევა სერბულ-იტალიურმა ჯგუფმა (SEEC) შეასრულა, რომელიც დაგეგმვის 15 წლიან პერიოდს განიხილავდა. ყველა განხილულ ვარიანტში, ნამახვანჰესის პროექტი ითვლება საუკეთესო პროექტად საქართველოს ენერგოსისტემაში მიერთებისათვის.

● 2015 წელს ქართული კომპანია „გამა კონსალტინგის“ მიერ, სს ნამახვანის დაკვეთით მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოყვანილი სოციო-ეკონომიკური შეფასების მიხედვით, პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული სარგებელი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც პროექტის განხორციელებამ შეიძლება მოიტანოს.

● 2018 წლის აგვისტოში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით, კომპანია McKinsey & Company-ის მიერ მომზადდა საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის დოკუმენტი. ნამახვანი ჰესი, აღნიშნულ კვლევაში მოხსენიებულია როგორც ეკონომიკურად გამართლებული ენერგოობიექტი. კონსულტანტის დასკვნის მიხედვით, რომელიც ეფუძნება ენერგეტიკულ — ეკონომიკურ მოდელირებას, ნამახვანი ჰესის Levelized Cost of Energy (LCOE) სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე, პროექტის ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის პირობები, კონსულტანტის აზრით, სხვა პროექტებთან შედარებით არ წარმოადგენს დამატებით მძიმე ფისკალურ ტვირთს.

● 2019 წლის იანვარში ნამახვანჰესის პროექტის ანალიზი ასევე წარმოდგენილი იყო საერთაშორისო საკონულტაციო კომპანია Nera-ს მიერ, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის დაკვეთით მომზადებული საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის შეფასების ანგარიშში. ანგარიშის მიხედვით, ნამახვანი ჰესი არის ერთ-ერთი იმ პროექტთაგანი, რომლის ეკონომიკური და ენერგეტიკული მახასიათებლების ერთობა იძლევა შესაძლებლობას, პროექტი ე.წ. least-cost (მინიმალური დანახარჯების) მეთოდოლოგიის გათვალისწინებით აშენდეს, აღნიშნულ კვლევაში ასევე გაანალიზებულია ნამახვანიჰესის აშენების ფისკალური წნეხი. პროექტის სხვა დადებითი ფაქტორების გათვალისწინებით, აღნიშნული წნეხი არ არის მიჩნეული კრიტიკულად და რამდენიმეჯერ ნაკლებია, ვიდრე სხვა მსხვილი, სტრატეგიული პროექტების ფისკალური წნეხი.

სამინისტრო ასევე აცხადებს, რომ საბოლოო კონტრაქტის გაფორმებას წინ 2,5 წლიანი პროცესი უძღოდა და ის ყველა საერთაშორისო სტანდარტს აკმაყოფილებს.

მერიის დახმარება სისხლის გადასხმასავითაა!...

კალაძის ინიციატივას ბავშვთა გასართობი ცენტრის წარმომადგენლები ეხმიანებიან

„ბავშვთა დღის ცენტრებს, რომლებიც პანდემიის პირობებში ყველაზე ადრე დაიხურა და მუშაობა დაახლოებით ერთი წლის შემდეგ დაიწყეს, გვინდა ფინანსური დახმარება აღმოვუჩინოთ და 5 000 ლარით დავეხმაროთ“, — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ, ქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

თბილისის მერის თქმით, პროგრამის ფარგლებში, დახმარებას მიიღებს 70-მდე ობიექტი და გაიცემა 350 000 ლარამდე სუბსიდია. მისივე თქმით, განაცხადების მიღება დაიწყება 2 ივნისიდან და გაგრძელდება 10 ივნისამდე.

„სუბსიდიას მიიღებს ყველა ის ბიზნესსუბიექტი, რომელიც რეგისტრირებულია 2020 წლის 28 ნოემბრამდე და დღემდე არ არის ლიკვიდირებული. განაცხადების მიღება დაიწყება 2 ივნისიდან და გაგრძელდება 10 ივნისამდე. პროგრამაში მონაწილეობისა და ფინანსური დახმარების მისაღებად ორგანიზაციების წარმომადგენელებმა თბილისის მერიაში უნდა შემოიტანონ განცხადება, თბილისის მერიის ვებგვერდზე მითითებული დეტალების გათვალისწინებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, დახმარებას მიიღებს 70-მდე ობიექტი და გაიცემა 350 000 ლარამდე სუბსიდია“, — განაცხადა კალაძემ.

„პროფესიონალი“ კომენტარისთვის რამდენიმე ბავშვთა გასართობ ცენტრს დაუკავშირდა.

მედეა მეძერიშვილი, ბავშვთა გასართობი ცენტრი „მინიონები“:

— ბავშვთა გასართობი ცენტრები ისეთი რეალობის წინაშე ვდგავართ, რომ ეს დახმარება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მართლა სისხლის გადასხმასავით არის, რადგან ყველაფერი ერთად დაგროვდა: მეიჯარესთან ვალები, კომუნალური გადასახადები, დისტრიბუცია.. იმდენად ცუდ მდგომარეობაში ვართ, რომ ეს თანხა ჩვენთვის მაშველი რგოლივითაა.

— როგორც მახსოვს „მინიონებს“ პენდემიამ სერიოზული ფინანსური პრობლემები შეუქმნა — ჩვენი სფერო ძალიან დაიჩაგრა, ნამდვილი ჯოჯოხეთი გავიარეთ. ბანკმა არაფერი გაითვალისწინა და შარშან პანდემია რომ მძვინვარებდა და თბილისში შემოსვლაც კი აკრძალული იყო, ბანკმა სამსართულიანი შენობა წაგვართვა. გლდანის ფილიალის მეიჯარემ გუშინ გამოგვიცხადა, რომ შენობა უნდა დავცალოთ იმიტომ, რომ ფიზიკურად ვერ ვიხდით იჯარას. ასეთ ვითარებაში, მერიის მიერ გამოყოფილი თანხა ნამდვილად დაგვეხმარება, რომ რაღაც ნაწილი მაინც დავფაროთ. ჩვენ ყველანაირ რეგულაციებს ვიცავთ, შრომის უსაფრთხოებაც შემოდის, გვამოწმებს და ხედავს, რომ ყველაფერი საუკეთესოდ მოწესრიგებული გვაქვს, მაგრამ მშობლებს ჯერჯერობით მაინც ეშინიათ და ერიდებიან. იმედია, ესეც გაივლის და ქვეყანა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდება.

გიორგი მთიულიშვილი — გასართობი ცენტრების ასოციაციის ხელმძღვანელი:

„პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ თბილისის მერია ერთადერთი უწყებაა, რომელიც თავად, ჩვენი თხოვნის გარეშე დაგვეხმარა. ჩვენ არ დაგვჭირვებია არც ხელმოწერები, არც აქცია, რომ მოდით და დაგვეხმარეთ. ეს ბატონი კალაძის ინიციატივა იყო, რაც ძლიან მისასალმებელია. პანდემიის შედეგად სეტორი ფაქტობრივად, განახევრდა და გაკოტრდა. თბილისის მასშტაბით თუ 100 ობიექტი იყო, 50 ობიექტი დარჩა და ეს 5000 ლარიანი დახმარება საიჯარო და საბანკო ვალდებულებაში მაინც შეგვეხიდება. ფაქტობრივად, ავადმყოფს რომ წყალს მიაწვდი, ასეთი მდგომარეობაა, იმიტომ, რომ შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, სექტორის დაახლოებით 30% მუშაობს, შესაბამისად, თბილისის მერიის დახმარება ძალიან დროულია, მაგრამ ამავდროულად, რეგიონები დაგვეჩაგრა. ჩვენი თხოვნა იქნება, რომ რეგიონების მუნიციპალიტეტები ამ ინიციატივას შეუერთდნენ და დაეხმარონ. ეს იქნება ძალიან დროული და კარგი დახმარება რეგიონებისთვისაც. და ბილოს, ვფიქრობ, რომ ყველა ერთად უნდა ჩავერთოთ ვაქცინაციის პიარ-კამპანიაში, რომ პანდემია დავასრულოთ და ქვეყანა ქვეყანა ფეხზე დადგეს“.

საპატრიარქო: მივმართავთ შსს-ს, გაასაჯაროს ნინოწმინდის ბავშვთა სახლთან დაკავშირებული საქმეები...

საქართველოს საპატრიარქო მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გაასაჯაროოს ნინოწმინდის ბავშვთა სახლთან დაკავშირებული საქმეები.

„სახალხო დამცველის განცხადებიდან ჩვენთვისაც და საზოგადოებისთვისაც ახლახან ცნობილი გახდა, რომ ნინოწმინდის ბავშვთა სახლთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროში აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები.

მივმართავთ შსს-ს შესაბამის სამსახურს, გაასაჯაროოს აღნიშნული საქმეები, რათა არავისთვის არაფერი იყოს დაფარული და ადგილი არ ჰქონდეს სხვადასხვა სპეკულაციას“, — ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაში, რომელსაც საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს. სახალხო დამცველის ინფორმაციით, ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონში სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე, 2016-2021 წლებში გამოძიება სისხლის სამართლის ოთხ საქმეზეა დაწყებული.

კრწანისის ტყე-პარკში, გურჯი ბიზნესმენის სახელობის სკვერი გაშენდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ველური ბუნების ეროვნული სააგენტოსა და თურქ ბიზნესმენთა ასოციაციის თანამშრომლობით, კრწანისის ტყე-პარკში, ერთ ჰექტარზე გურჯი ბიზნესმენის, ქენან პატარიძე-ილდირიმის სახელობის სკვერი გაშენდა. სკვერში ზეთისხილის, ცაცხვის, ნეკერჩხლის, იფანის, ჰიმალაის კედარის და ტუიას ნერგები დაირგო.

ქენან პატარიძე-ილდირიმს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებასა და ორ ქვეყანას შორის ბიზნესთანაშრომლობის განვითარების საქმეში.

დევნილებსა და ეკომიგრანტებს გრანტები გადაეცემათ

დევნილებსა და ეკომიგრანტებს „სასათბურე მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, გრანტები გადაეცემათ. ამის შესახებ ინფორმაციას დევნილთა სააგენტო ავრცელებს.

პროგრამა დევნილებისა და ეკომიგრანტების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე 240 კვ.მ ზომის სათბურის მოწყობას ითვალისწინებს. გრანტის ოდენობა, საშუალოდ, 16 000 ლარს შეადგენს. დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს პროგრამის მიზანს იძულებით გადაადგილებული პირების სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერა და მათი შემოსავლის ზრდა წარმოადგენს. ამ ეტაპზე, კომისიამ, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, 15 გამარჯვებული პროექტი გამოავლინა.

სს „სხმულის“ აქციონერთა საყურადღებოდ

„სხმულის“ დირექცია და სამეთვალყურეო საბჭო განმეორებით გაცნობებთ, რომ აქციონერებმა მათი წილის ფულად კომპენსაციასთან დაკავშირებით უნდა მიმართონ ადმინისტრაციას შემდეგ ტელეფონებზე: 599536607 (დირექტორი), 599466650 (ბუღალტერი).

დირექცია

სს „სხმულის“ აქციონერთა საყურადღებოდ

2021 წლის 12 ივლისს, 12 საათზე, ქ. თბილისში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა №46(ბ) ჩატარდება სს „სხმულის“ აქციონერთა საერთო კრება. განხილული იქნება საკითხი სს „სხმულის“ ლიკვიდაციის შესახებ.

სს „სხმულის“ დირექცია

ტელ: 5-99-53-66-07.

„ვაქცინა გვიცავს სიკვდილისგან და არა ინფიცირებისგან!

იმუნიზაციის მრჩეველთა ეროვნული ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელმა, **ივანე ჩხაიძემ** განმარტა, არის თუ არა კორონავირუსზე აცრის შემდეგ ადამიანის COVID-19-ით ინფიცირება ვაქცინების არაეფექტიანობის მაჩვენებელი. მან აღნიშნა, რომ ვაქცინის მთავარი მიზანი ლეტალური შემთხვევების თავიდან აცილებაა.

„ყველა ვაქცინას, რომელიც საქართველოშია, სხვადასხვა ეფექტიანობა აქვს, რაც პროცენტულად არის ასახული. ყველაზე მაღალი ეფექტიანობა აქვს Pfizer-ს — მისი ეფექტიანობის მაჩვენებელი 95%-ია, რაც ნიშნავს, რომ 100 ინფიცირებულიდან 95%-ში გვიცავს Pfizer-ი. 5% შეიძლება, ვაქცინის გაკეთების მიუხედავად, მაინც დაინფიცირდეს კორონავირუსით. შესაბამისად, არცერთი ვაქცინა, რომელიც დღეს საქართველოშია, არცერთი ვაქცინა, რომელიც დღეს მსოფლიოში წარმოებულია, 100%-იანი ეფექტიანობის არ არის. ასეთი ვაქცინა ბუნებაში არ არსებობს. ყველა ვაქცინას აქვს გარკვეული პროცენტულობით ასახული ეფექტიანობა. მაგრამ ვაქცინის გაკეთების შემდეგ ყველაზე მთავარი ამოცანაა არა ის, რომ დაგვიცვას ინფიცირებისგან, არამედ ის, რომ ვაქცინამ იმდენად უნდა შეამსუბუქოს დაავადების მიმდინარეობა, რომ დაავადება გადაიტანოთ სახლში, უსიმპტომოდ, ნაკლებად გამოხატული ტკივილით და ა.შ. რაც მთავარია, ყველა ვაქცინის მწარმოებელს, რომელიც დღეს საქართველოშია შემოსული, პირდაპირ აქვს დადასტურებული 100%-იანი ეფექტიანობა გარდაცვალების წინააღმდეგ. ყველა ეს ვაქცინა გვიცავს ლეტალური შემთხვევებისგან, გვიცავს დაავადების მძიმე მიმდინარეობისგან“, — განაცხადა ჩხაიძემ.

მისივე თქმით, **საქართველოში ორჯერადად აცრილ 1000 ადამიანზე კორონავირუსით ინფიცირების მხოლოდ 2 შემთხვევა გამოვლინდა და ორივესთან დაავადება მსუბუქად მიმდინარეობდა.** ჩხაიძის თქმით, ეს შესანიშნავი შედეგია.

იმედინიუსი

კონცერტები ცხოველებისთვის

ტაილანდში 11 წლის გოგო სეენლადა სუპატი ყოველ კვირას ბანგკოკის ზოოპარკის ბინადრებისთვის სინტეზატორზე უკრავს.

გოგოს მიაჩნია, რომ ცხოველებს მკაცრი კოვიდრეგულაციების გამო ადამიანებთან ურთიერთობა ენატრებათ, მისი კონცერტები კი მათ მარტოობის შეგრძნების დაძლევაში ეხმარება. ხშირად ცხოველები სუპატთან ძალიან ახლოს მიდიან და დაკვრის დროს კლავიშებზეც დასეირნობენ, რაც პატარა მუსიკოსს ძალიან ახარებს.

ნიკა მელიას ინდოეთში გამოუჩნდნენ მიმდევრები

ინდოეთში, შტატ უტარ-პრადეშის 9 ციხეში 21-მა პატიმარმა პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარი თქვა, რადგან მიიჩნევენ, რომ პანდემიის პირობებში ციხეში უფრო უსაფრთხოდ იქნებიან.

პენიტენციური სისტემის თანამშრომლები ამ გადაწყვეტილებას იმით ხსნიან, რომ ციხეებში რეგულარულად ტარდება მედშემოწმებები, პატიმრებს აქვთ საკვები და საჭირო მედიკამენტები. გათავისუფლების შემთხვევაში კი მათ ამაზე თავად მოუწევთ ზრუნვა. ინდოეთში კორონავირუსის შემთხვევების ზრდის გამო ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ მაისში ციხეების განტვირთვის გადაწყვეტილება მიიღო. ამის შემდეგ ციხეები 11,5 ათასმა პატიმარმა დატოვა.

ჯოდი ფოსტერი „ოქროს პალმის რტოს“ ლაურეატია

ჰოლივუდის მსახიობი და რეჟისორი ჯოდი ფოსტერი, ივლისში, კანის საერთაშორისო კინოფესტივალის საპატიო „ოქროს პალმის რტოს“ მიიღებს. ინფორმაციას ფესტივალის ორგანიზატორები ავრცელებენ. აღნიშნულია, რომ ფოსტერი, 6 ივლისს ფესტივალის გახსნის ცერემონიის საპატიო სტუმარი იქნება.

„ჯოდი ფოსტერი მიიღებს ფესტივალის საპატიო ოქროს რტოს მისი ბრწყინვალე შემოქმედებითი გზის პატივისცემის ნიშნად, ასევე უნიკალური პირადი თვისებებისთვის, რომელიც დამახასიათებელია მისი, როგორც მოკრძალებული, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებების მქონე ადამიანისთვის, ჩვენი დროის ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხებში“, — ნათქვამია ფესტივალის გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

იგი წავა და სხვა მოვა...

ინდოეთში პატარძალი ქორწილის დროს გარდაიცვალა, თუმცა ოჯახმა ცერემონია არ გადადო და სასიძოს გარდაცვლილის უმცროსი და გაჰყვა ცოლად. პატარძალს, რომელსაც სურბჰი ერქვა, ცერემონიის დროს გულის შეტევა დაემართა. ადგილზე მისულმა ექიმმა მისი გადარჩენა ვერ შეძლო. თუმცა ქორწილის ჩაშლის ნაცვლად, ორივე ოჯახმა ცერემონიის გაგრძელება გადაწყვიტა და პატარძალი მისი უმცროსი დით, ნიშათი ჩაანაცვლეს.

სურბჰის ცხედარი მის საძინებელში დაასვენეს, ნიშა კი ქორწილისთვის მოამზადეს. სურბჰის ბიძამ განაცხადა, რომ ოჯახისთვის ეს რთული გადაწყვეტილება იყო: „ასეთი შერეული ემოციები არასოდეს განგვიცდია. სევდა გარდაცვალების გამო და ბედნიერება ქორწილის გამო“, — განაცხადა მან. გარდაცვლილის ძმამ კი აღნიშნა: „რთული დასაჯერებელი იყო, რომ ერთ ოთახში ცხედარი ესვენა, მეორეში კი პატარძალი ქორწილისთვის ემზადებოდა. არ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით“.

ოჯახების გადაწყვეტილებაზე შესაძლოა რამდენიმე ფაქტორმა იმოქმედა. ცერემონიის ჩაშლის შემთხვევაში, პატარძლის ოჯახს მატერიალური ზარალის ანაზღაურება მოუწევდა, სიძის ოჯახს კი სავარაუდოდ ქორწილიდან ცოლის გარეშე დაბრუნების სტიგმისგან თავის არიდება უნდოდა.

ამერიკელები ვენერას გამოიკვლევენ



აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის სამმართველო (NASA), პლანეტის ატმოსფეროსა და გეოლოგიური ნიშნების შესასწავლად, ვენერაზე ორ ახალ მისიას აანონსებს.

მისიები, რომელთაგანაც თითოს ღირებულება 4500 მილიონამდეა, 2028-დან 2030 წლამდე შესრულდება. **„ეს მისიები არის შანსი, რომ გამოვიკვლიოთ პლანეტა, რაც 30 წელზე მეტია, აღარ გაგვიკეთებია. მისიების მიზანია, დადგინდეს, როგორ იქცა ვენერა ჯოჯოხეთის მსგავს სამყაროდ, რომლის ზედაპირზეც ტყვიაც კი დნება“,** — აცხადებენ NASA-ში.

ბოლო კოსმოსური ზონდი პლანეტას 1990 წელს ეწვია. ხომალდს „მაგელანი“ ერქვა. დაანონსებული ორი მისიიდან, ერთის სახელწოდება „დავინჩი(“, მეორის კი „ვერიტასია“. ვენერა მზიდან მეორე და მზის სისტემაში ყველაზე ცხელი პლანეტაა. მის ზედაპირზე ტემპერატურა 500^0-საც კი აღწევს.

ჰიპერ ელექტრომობილი

ხორვატულმა ავტომწარმოებელმა Rimac-მა ჰიპერ ელექტრომობილის ლიმიტირებული სერია წარადგინა, რომლის ღირებულება დაახლოებით 2,4 მილიონი ევროა.

ავტომობილების პირველი პარტია მსოფლიო ბაზრზე 2021 წელს გამოჩნდება. Tesla-ს ერთ-ერთი კონკურენტის ჰიპერქარის სახელწოდებაა Neverna. მას საათში 100 კილომეტრის განვითარება შეუძლია. 20%-დან 80%-მდე კი 18 წუთში იმუხტება.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 7 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2228; ევრო - 3.9238;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.5558;
100 რუბლი - 4.3848; თურქული ლირა - 0.3742;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8984;
1000 სომხური დრამი - 6.1869.

ამინდი 4 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+24
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+23
თბილისი:	ღამე	+14,	დღე	+27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge